საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან კოკორაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	1	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	64	100

სახელი, გვარი: [illegible]

თარიღი : 9.07.2021

ლევან კოკორაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: 1. <u>პიროვნებული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u> მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია ინდ. მეწარმედ. არ აქვს მიმდინარე სესხი. არის ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირისა და საქველმოქმედო ფონდ პატრიარქი პატრიარქთა შორის დირექტორი.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი კანდიდატს არ უფიქსირდება. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობის თაობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, სამართლიანობას, კომპეტენტურობას, თავშეკავებულობას და ა.შ. რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ მიუთითებს, რომ იგი არის სენტიმენტალური და მგრძნობიარე, ფაქიზი ხასიათის ადამიანი, თუმცა მისივე განმარტებით, ამ თვისებებს სისუსტედ არ თვლის. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი მოსაზრებით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. 2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u> მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერი/წევრი/შემომწირველი.

		მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, დავდაჭერილობა, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ლევან კოკორაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრააციული წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატი ლევან კოკორაშვილი სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელედ მონაწილეობდა ოთხ საქმეში, ადმინისტრაციულ საქმეში მოსართჩელედ მონაწილეობდა ერთ საქმეში, სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ მონაწილეობდა 2 საქმეში, ხოლო გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. აღსანიშნავია გარემოება, რომ განაცხადში კანდიდატი მიუთითებს: “2012 წლის 25 ივლისს დაპატიმრებულ ვიქენი გლდანი ნაძალადევის პროკურატურის მიერ, ხოლო 2013 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ხათუნა ხარჩილავამ სასამართლო დარბაზიდან დაუყოვნებლივ

		გამანთავისუფლა გამამართლებელი განაჩენით, რომლითაც სრულიად უდანაშაულოდ მცნო და ეს განაჩენი შემდგომში სრულად დარჩა ძალაში უცვლელად სააპელაციო და საკასაციო პალატების მიერ"; „ბრალდებაში ვარ სრულად გამართლებული 2013 წლის 15 აპრილის თბ.საქ სასამართლოს მოსამართლის ხ.ხარჩილავას განაჩენით"; „უკანონო პატიმრობიდან გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე მივმართე თბ.საქ.სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით და მთავარ პროკურატურას მოვთხოვე მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაცია. სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული ჩემი მოთხოვნა და მთავარ პროკურატურას დაეკისრა ჩემს სასარგებლოდ ზარალის კომპენსაცია". საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2020 წლის 5 დეკემბრის ინფორმაციით ლევან კოკორაშვილი „მიმდინარე წლის მდგომარეობით არ არის ნასამართლევი, მაგრამ დეპარტამენტის ერთიან საინფორმაციო ბანკში ფიქსირდება ინფორმაცია აღნიშნული პირის მიმართ წარსულში სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მე-2 ნაწილითა და 369-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით). **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი.

			კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. ლევან კოკორაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია უზენაეს სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე. **5. <u>ფინანსური ვალდებულებები</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	

სამართლის ნორმების ცოდნა	17	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. უჭირს საუბარი სამართლის ზოგად პრინციპებზე. აქვს გარკველი ზედაპირული ცოდნა კონსტიტუციურ საკითხებზე, თუმცა მას გაუჭირდა პასუხების გაცემა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების გარშემო დასმულ კითხვებზე. გასაუბრების დროს კანდიდატს არ გამოუვლენია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ცოდნა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი მეტნაკლებად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. საკითხზე მსჯელობის დროს კანდიდატი მსჯელობს მეტ-ნაკლებად ლოგიკურად, იყენებს სამართლებრივ ტერმინოლოგიას, თუმცა არ იყენებს სამართლის ნორმებსა და

			სასამართლოს გადაწყვეტილებებს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. საჯარო მოსმენის პროცესზე დაკვირვებით ირკვევა, რომ კანდიდატს გარკვეულწილად შეუძლია, გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაბოა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის ლოგიკური და თანმიმდევრული. მისი საუბარი არის თანმიმდევრული, მისი მეტყველება არის გასაგები მსმენელისათვის.
პროფესიული თვისებები	11	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	1	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში ფამოყენება. მოძიებული ინფორმაციით არ დასტურდება კანდიდატის მიერ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მიღება.
პროფესიული აქტივობა	3	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. კანდიდატი 2002-2003 წლებში საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით რამოდენიმე პროექტში, რის საფუძველზეც გააკეთა საკუთარი ანალიზი სტატისტიკური მიმართულებით და დაწერა სამეცნიერო დასკვნა, რომელიც ასოციაციის მიერ მოწონებული, დამტკიცებული და გამოქვეყნებულია. 2003-2004 წლებში ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ახაშენის საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასებში - ასწავლიდა სამართლის თეორიას და საფუძვლებს; ბავშვის უფლებებს. სხვადასხვა საჯარო სკოლებში ატარებდა სემინარებს სახელმწიფო სამართლის, საზოგადოებაში კანონისა და თვითშეგნების პატივისცემისა და

			დამკვიდრების მიმართულებით. კანდიდატის მითითებით, 2014-2015 წლებში მას მიენიჭა წარმატებული ქველმოქმედის ჯილდო.
ქულათა ჯამი	64	100	

თარიღი : 9.07.2021

ხელმოწერა: [illegible]